„მე შენ მიყვარდი, შენ მნამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 4 (270) 24 აპრილი, სამშაბათი. 2018 წელი; ფასი 1 ლ.

## ფოთმა, წელს პირველად, 15 აპრილს ქალაქის დღე იზეიმა. „ფოთის დღეები 2018" საკათედრო ტაძრის დღესთან ერთად, კვირაცხოვლობას აღინიშნა.

**თუ ქალაქს ღმერთი არ იცავს, ამაოდ ფხიზლობენ გუშაგნი**

პარამეტრი:საერო საეკლესიო: ფოთის თვითმმართველობის 135, და უფლის აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძრის აღდგენის 5 წლისთავის ზეიმი

---

სულიერი სიცარიელე - გზა დეპრესიისაკენ



სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე

ამონარიდები

მე-2-გვ.

---

## საქართველოს დამოუკიდებლობის დღე კონსტიტუციით 9 აპრილია და არა 26 მაისი

**აქაც უნდა აღსდგეს სამართალი**

9 აპრილი ცრემლისა და სიხარულის დღეა

9 აპრილი ფოთში

**29 წელი 9 აპრილიდან, ეს იყო ერთიანობის აპოგეა**



მე-2-გვ.

---

## 14 აპრილი - დედაენის დღე

გზა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ

აქედან დაიწყო თავგანწირული ბრძოლა ეროვნულობისათვის, სამშობლოსათვის





**ფოთში დედაენის კვირეული გრძელდება**

---

ნიკო ნიკოლაძის იუბილის შესახვედრად

**ნიკო ნიკოლაძე 175-ფოთის-პორტი 160**



„ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიამ ახლადარჩეულ თვითმმართველობას დიდი ნიკოლაძის ცხოვრება და მოღვაწეობა შეახსენა

როგორ აკლია ქვეყანას ულმობელი საქმის კაცი, რომელმაც დროს საუკუნეებით გაუსწრო

„ფაზისის" აკადემიის ფოთის ორგანიზაციის სხდომაზე მოისმინეს ვაჟა შუბითიძის მოხსენება ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, რომელიც წიგნად გამოიცემა.

გთავაზობთ წერილების სერიას ამ ახალი ნაშრომიდან

მე-4-გვ.

---

სამშობლო,როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა



„ფაზისის აკადემია":

**ღია წერილი: ყველას! ყველას! ყველას!.. ჩვენ ბევრნი ვართ, ქალაქი და ქვეყანა ერთია!**

მე-3-გვ

---





XXI საუკუნის ახალგაზრდების დიდი მარათონი

**ინტელექტ-ჩემპიონატი „ფოთის ეტალონი მოსწავლე"**

მე-2-გვ

---

**ფოთის სანავსადგურო შესაძლებლობები საუკუნეებიდან მოდიოდა**

## წყარი ნაწყარუს, შარა ნაშარუს

(წყალიც და გზაც - ძველ კალაკოტში)

მე-6-გვ

---

პოლიტიკა

## საით მიდის დემოკრატიის მატარებელი-წარსულისკენ თუ მომავლისკენ?

მე-4-გვ

---

gaxsovdeT! მრავალმილიონიანი ლექსიკა - ენის დიდ წარსულზე მიანიშნებს და მისი დიალექტებად აღიარება ან უმცირესობა ან კიდევ დაცინვა

## მძინარე არს ენა ლაზური დღესამომდე...

**(პასუხი მეცნიერებს)** მე-6-გვ.

---

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბირო მოქმედებს

ტრანსპორტი, პრობლემები, პერსპექტივა



---



**კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ცნობილი სამეურნეო მუშაკის და საზოგადო მოღვაწის

**სერგო ბორისის ძე ტატარინოვის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---



**თემურ ფაჩულიას წიგნების პრეზენტაცია**

საქართველო-გულაგი ფიქრები განსჯისა და დასკვნისათვის

მე-7-გვ

---

„ფაზისის" აკადემიის სხდომა

**დროა დავიწყოთ ფაზისის არქეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები.**

მიახლოება ფესვებთან, ანუ ციცი ნახსეცი-სამზეოზე



მე-7-გვ

## სულიერი სიცარიელე - გზა დეპრესიისაკენ

## სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე

ამონარიდები



ღვთისგან გაუცხოებულმა ცხოვრების წესმა სხვადასხვა ეპოქასა და სივრცეში სხვადასხვა გამოვლინება ჰპოვა. ჩვენს დროში კი განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა.

ყველგან თვალშისაცემია ტრადიციულ ღირებულებათა მოსპობის,პატრიოტული სულისკვეთების დაკნინების, ეროვნული მეობის გაქრობის ტენდენცია დიდია. მცდელობა ზოგიერთი მძიმე ცოდვის ბუნებრივ მდგომარეობად გამოცხადებისა, მასმედიითაც, ნებსით თუ უნებლიედ, ხშირად ხელი ეწყობა აგრესიიისა და უზნეობის, ნარკომანიისა და აზარტული თამაშების პროპაგანდას; ბილწსიტყვაობა, ტყუილი, ცინიზმი, საჯარო შეურაცყოფა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა;

გაჩნდა გრძნობა დაუცველობისა და ხვალინდელი დღის შიშისა, სულიერი სიცარილის ფონზე ახალგაზრდებში გახშირდა თვითმკვლელობა, რისი ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მოქმედებენ გარკვეული ჯგუფები, რომელნიც მოზარდებს სხვადასხვა სახით აიძულებენ სიცოცხლე ამ სახით დაამთავრონ. დაეცა განათლების დონე, მოზარდი თაობა ინტერნეტს მიეჯაჭვა და წიგნი დაივიწყა. დაიკარგა უფროსის პატივისცემა, ებრძვიან ავტორიტეტებს, ქმნიან ახალი „ღირებულებების" შესაბამის პერსონებს და მათ წარმოაჩენენ მისაბაძად.

ამ მოვლენებს მეტ-ნაკლებად საქართველოშიც აქვს ადგილი. ჩვენთან დიდია უმუშევართა, სოციალურად დაუცველთა და უცხოეთში სამუშაოდ წასულთა რიცხვი; იცლება სოფლები და რაიონები; დამაფიქრებელია ხალხის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებიც, რასაც ხშირ შემთხვევაში სტრესული მდგომარეობა და მდარე პროდუქტებით კვება იწვევს.

შემოტევაა ეკლესიაზე და მრავალწლიანი მცდელობა, შეურყიონ ხალხს მისდამი სიყვარული. მავანნი შეურაცხყოფენ სიწმინდეებს, რელიგიურ გრძნობებს და განუკითხაობით ხარობენ.

## საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

## კონსტიტუციით 9 აპრილია და არა 26 მაისი

# აქაც უნდა აღსდგეს სამართალი

## 9 აპრილი ცრემლისა და სიხარულის დღეა

## 9 აპრილი ფოთში

### 29 წელი 9 აპრილიდან, ეს იყო ერთიანობის აპოგეა



ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ, მოადგილესთან მამუკა პაპასკირთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან ირაკლი კაკულიასთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად 9 აპრილის მემორიალი ყვავილებით შეამკო და პატივი მიაგო დაღუპული გმირების ხსოვნას.

- „შევიკრიბეთ, რათა კიდევ ერთხელ მივაგოთ პატივი იმ ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს, ვინც 29 წლის წინ, რუსულმა ტანკებმა, რუსეთის იმპერიის ზრახვებმა შეიწირა. ჩვენი მომავალი თაობა მათ გმირულ მაგალითზე უნდა აღიზარდოს. დიდება და არდავიწყება მათ სახელებს"––აღნიშნა თავის სიტყვაში ქალაქის მერმა გოჩა კურდღელიამ.

- ფოთის უფლის აღდგომის სახელობის საკათედრო ტაძარში 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა მოსახსენიებელი პანაშვიდი ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა აღავლინა.

## ვულოცავთ ფოთის საპატიო მოქალაქეობას!



დიდი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ძეგლთან, ფოთის საპატიო მოქალაქეების დააჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.

ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი კაკულიამ, მოწვეულ სტუმრებთან ერთად- ლევთერ ჭოჭუა, ლეილა ლოლუა, გურამ დოჩანაშვილი, რეზო ჭანიშვილი, მარიკა ნადარაია, კესო კალანდარიშვილი, დეკანოზი თეიმურაზ გოგიაშვილი, როინ(გულთაზ) მასხულია,ვახტანგ გვარამია, ვაგნერ მხეიძე ქალაქის განვითარებაში შეტანილი ღირსეული წვლილისათვის დააჯილდოეს და მათ ფოთის საპატიო მოქალის წოდება მიენიჭათ..

შეკრებილი საზოგადოების წინაშე მისასალმებელი სიტყვით წარსდგნენ და საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს მოწვეულმა სტუმრებმა: პარლამენტარმა სალომე ზურაბიშვილმა, დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გოჩა ლორთქიფანიძემ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ირაკლი თავბერიძემ,რუსთავის მერმა ირაკლი ტაბაღუამ.

## XXI საუკუნის ახალგაზრდების დიდი მარათონი

## ინტელექტ-ჩემპიონატი ,,ფოთის ეტალონი მოსწავლე"



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით, ფოთის ნიკო ნიკოლაძის სახელობის მეორე საჯარო სკოლაში ინტელექტ- ჩემპიონატი „ფოთის ეტალონი მოსწავლე" ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობას საჯარო სკოლების 72 მოსწავლე იღებდა.

„ფოთის ეტალონი მოსწავლის" მონაწილეებს ქალაქის მერის მოადგილე გიორგი ფარეშიშვილი მიესალმა. ჩემპიონატს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, საჯარო სკოლების დირექტორები და ქალაქის საზოგადოება დაესწრო.

- „ფოთის ეტალონი მოსწავლე" 2017-2018 სასწავლო წლის გამარჯვებული, მე-15 საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ლევან გორგაძე გახდა.



-პროექტ „ეტალონის" ავტორმა და წამყვანმა გოჩა ტყეშელაშვილმა სიმბოლური საჩუქრები გადასცა „ფოთის ეტალონ მოსწავლის" შარშანდელ გამარჯვებულს, ვალერი ყუფუნიასა და მესამე საჯარო სკოლის დირექტორს ლელა კე-

### პარამეტრი–საერო–საეკლესიო

### თუ ქალაქს ღმერთი არ იცავს, ამაოდ ფხიზლობენ გუშაგნი

## ფოთის თვითმმართველობის 135 წლისთავი

### ქალაქის დღეები და უფლის აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძრის აღდგენის 5 წლისთავის ზეიმი



საერო და საეკლესიო დღესასწაულების თანხვედრა და ერთობლივად აღნიშვნა კიდევ უფრო ამაღლებს საზეიმო განწყობას და სრულიად ახლებურ დატვირთვას აძლევს მას. რამეთუ ღვთიურობის, სიყვარულის გარეშე დიდი მომავალი არ გვექნება, მით უფრო თუ მოვწყდებით წარსულს, როგორც ფესვებს, საიდანაც საზრდოობს დღევანდელობა. ამ სურვილებით აღინიშნა ქალაქის დღეები და ფოთის უფლის აღდგომის სახელობის საკათედრო ტაძრის აღდგენის 5 წლისთავი, რომელიც კვირაცხოვლობის დღეს გაიმართა და როგორც ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი.

ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრში 14 აპრილის საღამო მიეძღვნა ფოთის თვითმმართველობის 135-ე წლისთავს. მას ესწრებოდნენ საერო და სასულიერო პირები, ქალაქის ხელმძღვანელობა. თეატრალიზებული სანახაობა ფოთის, ფაზისის ლეგენდარული წარსულისა და თანამედროვეობის თანაარსებობის ლამაზი გამოხატულება იყო ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციით, ადამიანთა პატივგებითა და ოფიციალური გამოსვლებით. ქალაქის დღე დამსწრე საზოგადოებას მიულოცეს ქალაქის მერმა გოჩა კურდღელიამ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ აკაკი დარჯანიამ, საღამოზე სიტყვა წარმოთქვა ფოთისა და ხობის ეპარქიის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა. მან თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა მერის მოადგილის გიორგი ფარეშაშვილის მონდომებასა და ორგანიზატორულ ნიჭს მასობრივ პოლიტიკური და კულტურული ღონისძიებების ჩატარებაში, სიახლეების დანერგვაში. საღამოზე მერიის სიგელებით დაჯილდოვდნენ ქალაქის ღვაწლმოსილი ადამიანები.

## ფოთმა ვაინახური კულტურის დღეს უმასპინძლა



20 აპრილს ფოთს პანკისის ხეობის უხუცესები და ქისტ ქალთა საბჭოს წევრები ეწვივნენ. სტუმრებს შორის იყვნენ პოეტი კანეი მარგოშვილი და მთარგმნელი, ფილოლოგიის დოქტორი მექა ხანგოშვილი.

შეხვედრაზე, რომელიც „ახალი საქართველოს უნივერსიტეტში" შედგა, „ქისტი ხალხის ფენომენზე ქართულ სინამდვილეში და ქართულ ვაინახური ურთიერთობების ათასწლოვან დინამიკაზე " ისაუბრეს.

შეხვედრას, ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია, მერის მოადგილე გიორგი ფარეშიშვილი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ლაშა დარსალია, უნივერსიტეტის რექტორი, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი მეუფე გრიგოლი, ფოთის საკრებულოს წევრები, სამეგრელო-ზემო სვანეთის ქალაქების წარმომადგენლები, სამღვდელოება და ფოთის საზოგადოება ესწრებოდა. აქვე გაიმართა, ვაინახურ თემაზე შექმნილი, წიგნების პრეზენტაცია.

დღის ბოლოს კი, სახელოვნებო ცენტრის დარბაზში, ჩამოსული და ადგილობრივი ხელოვანების მონაწილეობით, ვაინახურ-ქართული შემოქმედებითი კონცერტი ჩატარდა.



## „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა...“

ჩვენ ბევრნი ვართ, ქალაქი და ქვეყანა ერთია!

# „ფაზისის აკადემია“: ღია წერილი: ყველას! ყველას! ყველას!..

საქართველო
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემია

GEORGIA
NATIONAL SCIENTIFIC ACADEMY OF FAZISI

პრეზიდენტი, President: 599-168999; 032-2396568; 0493-222424
თანაპრეზიდენტი, Co-President: 593-676416; 032-2233753
სწავლული მდივანი, ვიცე-პრეზიდენტი, Learned Secretary, Vice-President: 593-554847; 032-2360755
ვიცე-პრეზიდენტი, Vice-President: 599-180709; 0493-222000
თბილისის ორგანიზაციის კოორდინატორი, ვიცე-პრეზიდენტი, Coordinator of the Tbilisi Organization, Vice-president: 599-360035
ფოთის საქალაქო რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, Chairman of the Poti city regional organization: 591-417523
სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის კოორდინატორი: Coordinator of the Samegrelo regional organization: 558-180206

საქართველო, 0162, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #25 — 25, Ilia Chavchavadze Str., Tbilisi, 0162, Georgia
საქართველო, 4400 ფოთი, რუსთაველის რკალი, კოლხური კოშკი — Tower of Colchis, Arc of Rustaveli, Poti, 4400, Georgia

№ 1/1-1 — 16 აპრილი, 2018 წელი

ფოთის მოსახლეობის მოთხოვნით, ქალაქის საზოგადოებრივმა სათათბირომ საქართველოს

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან შეთანხმებით 2017 წლის ივნისში ჩაატარა სოციოლოგიური

კვლევა შეკითხვით: ფოთელები თანახმა ხართ თუ არა თავისი დიდი ისტორიული პატივგების უზრუნველსაყოფად ჩვენს საზღვაო კარიბჭეს ვუწოდოთ სახელი „ფოთი-ფაზისი“? და ამდენად, საქართველოს რუკაზე, საქართველოს მთავრობის სპეციალური ბრძანებულებით ახალი სახელწოდება დავამკვიდროთ. გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა დაეთანხმა ამ ცვლილებას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ინიციატივას მხარს უჭერს ისტორიული გეოგრაფიის გამოჩენილი სპეციალისტი, აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი.

ასეთი ცვლილების შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზრდება ქალაქ ფოთის ტურისტული პოტენციალი და ბუნებრივია, საბიუჯეტო შემოსავლები... ბრძანებულების პროექტი კი დღემდე არ არის წარდგენილი მთავრობასა და პარლამენტში განსახილველად. ოფიციალური დელეგაცია საქალაქო და სამხარეო თვითმმართველობის პირველი პირების და სამეგრელოს მხარის ინტელიგენციის მონაწილეობით სამწუხაროდ, გაურკვეველი მიზეზებით ჯერ კიდევ არ მიბრძანებულან ქვეყნის სადირექტივო ორგანოებში ზემოთ დასახელებული ისტორიული ინიციატივის მხარდამჭერის მოთხოვნით. რატომ?! როდემდე?!..

ქართველი ერის სულიერი მამის, წმინდანის ილია მართალის ანდერძს გულწრფელად თუ

დავეთანხმებით, მართლაც სამეგრელო იყო, არის და მუდამ იქნება ერთიანი, ძლიერი და განუყოფელი დედა სამშობლოს ხერხემალი. „სამეგრელოში მოველ და დიდი საქართველო ვნახე,

დიდი საქართველო“, - ბრძანებდა ქართველი ერის უგვირგვინო მეფემოძღვარი ილია ჭავჭავაძე...

ამასთან, რადგან სამეგრელო ერთიანი, განუყოფელი სამშობლოსაქართველოს მაცოცხლებელი ჟანგბადია, მაშინ კოლხური, ე.ი. ქართული ქალაქი „ფოთი-ფაზისი“ თავისი ისტორიული წარსულით, ასევე, მაცოცხლებელი ზურგის ტვინია მისი... მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით შემთხვევითი არ იყო ინგლისელი მეცნიერისა და ცნობილი მოგზაურის ტიმ სევერინის „არგონავტიკით“ დაინტერესება. მისი ხელმძღვანელობით 1984 წლის 3 მაისს „არგოს“ ხომალდმა ილაშქრა საბერძნეთის ქალაქ ვოლოსიდან კოლხეთში - ფაზისში,

ისტორიული საზღვაო გზის გამეორებით...

აქვე, გულისტკივილითაა აღსანიშნავი, რომ უგუნური მოკეთის, თუ გონიერი მტრის მიზეზით, სამწუხაროდ, მომრავლდა ზემოთ აღნიშნული ჭეშმარიტების სუბიექტური მიზეზით ხელოვნურად უგულვებელყოფის ფაქტები. რატომ?! როდემდე გაგრძელდება ერისა და ქვეყნის,

დედა ეკლესიის დამაქცეველი დაუმსახურებელი უპატივცემლობისა და ავტორიტეტების ხელოვნურად გაუცხოების მცდელობები ისტორიულად ცნობილი „შადიმან-ფარსადანობის“ სინდრომის გამოვლინების სახით, რასაც აუცილებლად უნდა შეეწინააღმდეგოს „ჭყონდიდელ - ცოტნეიდელთა“ პატრიოტობა და ზნეობა. ამიტომ მოშურნეთა მიერ ხელის შეშლის ნაცვლად, დროა მწვანე შუქი ავუნთოთ ზნეობრივ პატრიოტებს და მათ ინიციატივებს...

სამწუხაროდ, სადღეისოდ ხალხში მუსირებს მშობლიური ქალაქ ფოთის სახალხო დღესასწაულის ჩატარება „ფოთიქალაქობის“ სახელწოდებით. ეს მაშინ, როცა ჩვენი სახელოვანი წინაპრების ინიციატივით დამკვიდრებული ქალაქის სახალხო დღესასწაული 60 წელზე მეტია „ფაზისობის“, „ფაზისქალაქობის“ სახელწოდებით ტრადიციულად ტარდება. ამიტომ მივესალმებით 2018 წელსაც ქალაქ ფოთის დღეობის „ფოთი-ფაზისობის“, „ფოთი-ფაზისქალაქობის“ სახელწოდებით ჩატარებას ცოტნე დადიანის, წმინდანის ძეგლთან, სამეგრელოს მოედანზე, რადგან გვჯერა და დავეთანხმებით, რომ მსოფლიოში არ არის ანალოგი ვინმეს პიროვნულად, ან რაიმე ისტორიულ მოვლენას წელიწადში ორჯერ გადაუხადონ დღეობა... რატომ ვიგონებთ ხელახლა ველოსიპედს?

მოდით, გამოგონილი პრაქტიკულად გამოვიყენოთ, რათა მრავალჟამიერ წარმატებულად აღმშენებლობით ვიაროთ წინ და მაღლა, ამინ!



სადღეისოდ კი ფოთში სამწუხარო ფაქტია, რომ „ცოტნეიდელების“ „აღმახნული“ მოშურნეებს სურთ დამაქცეველი გათიშულობით „დაღმა ფარცხონ“, რატომ?! როდემდე გაგრძელდება გათიშულობა აღმშენებლობის ნაცვლად?! მართლაცდა, „მარტო წვრთნა რას შველის, თუ ბუნებამაც არ უშველა...“

ვფიქრობთ, თემატიკიდან გამომდინარე ბევრი რამ ტკივილის მომგვრელია და მიზეზები რკინისებური ლოგიკით გასაანალიზებელია, მათ შორის ძმათა მკვლელი სამოქალაქო დაპირისპირების ტრაგედია, რაც დავიწყებას არ ექვემდებარება და გულწრფელად ჭირისუფლის გოდებითაა ასახული ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პოეტ-აკადემიკოსის თინათინ მღვდლიაშვილის ლექსში „დადეთ იარაღი, ბიჭებო!“

„თბილისს სინანულის ცრემლი
მოერია,
ვაი, შინდისფერო სიზმრებო!
ეშმას არ ემონოთ,
ტაძარს არ ესროლოთ,
თბილისს არ ესროლოთ, ბიჭებო!
უშბას გადმომდგარა - ქალი
ლამარია,
უყვარს ლამარიას ლილეო!
უშბას არ ესროლოთ, შხარას არ
ესროლოთ,
დადეთ იარაღი, ბიჭებო!
ტირის სამეგრელო, ბედი აერია...
გული დაუამეთ ნისლებო!
კოლხებს არ ესროლოთ,
ცოტნეს არ ესროლოთ,
წარსულს არ ესროლოთ, ბიჭებო!
ახლა ქუთაისში თეთრი აპრილია,
თეთრი იმერეთი იმერობს!
ღმერთი არ გაგიწყრეთ,
ღმერთი არ გაგიწყრეთ,
დავითს არ ესროლოთ, ბიჭებო!
კახს რომ ეწურება გული
საგულეში,
ვაზის ცრემლებია უენო!
მუხლზე დამხობილი გოდებს
ალავერდი,
დადეთ იარაღი, ბიჭებო!
ლიახვს ჭირისუფლის თალხი
ჩაუცვია,
ვაი, ახდენილო იჭვებო!
რა დროს ღალატია,
რა დროს კამათია,
მუმლი გაგვიმრავლდა, ბიჭებო!
ძმისგან დახვრეტილო, ძმისგან
დაჩეხილო,
ჩემო ამერო და იმერო!
ქართლის ცხოვრებიდან კვნესის
ბაზალეთი,
ქართველს არ ესროლოთ, ბიჭებო!
ჩემო ლამაზებო, ჩემო მამაცებო,
ჩემო შეცდენილო ირმებო!
დადეთ იარაღი, დადეთ იარაღი,
დადეთ იარაღი, ბიჭებო!"

გვისმინოს მაღალმა ღმერთმა უფალმა იესო ქრისტემ და მადლი მოსმენისა და დაჯერებისა არ მოგვაკლოს ქართველ ერსა და დედა სამშობლოს, ამინ!

*მკითხველისადმი უღრმესი პატივისცემითა და სამადლობელით,*

*ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი*

ნუგზარ ნადარაია

*ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის სწავლული მდივანი, პროფესორი*

ლიანა წურწუმია

*ქ. ფოთის საზოგადოებრივი სათათბიროს თავმჯდომარე, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი*

გერონტი კუხალეიშვილი

*ქ. ფოთის საზოგადოებრივი სათათბიროს სწავლული მდივანი, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი,*

პაატა გეგენავა

# გიორგი ჭყონდიდელი - ლეგენდა კოლხეთის. საქართველოს

*გიორგი ჭყონდიდელი- მსოფლიოში ყველა დროის უდიდეს მთავარსარდალთა შორის უპირველესის გამზრდელი - მეფეთა მეფე დავითის, რომელსაც არცერთი ომი არ წაუგია! მეფემ, რომელმაც ერთ მუშტად შეკრა სრულიად საქართველო.*

*დიდგორი ჩვენი ყოფიერების სიამაყეა, ძლევაი საკვირველით ცნობილი. სამწუხაროდ, დღემდე ვერ გაუგიათ, გმირი მეფის მხარდამხარ გიორგი ჭყონდიდელი რომ იბრძოდა.*

*ლეგენდა გვიამბობს, რომ თეთრ რაშზე ამხედრებული წმინდა გიორგი იბრძოდაო ქართველთა მხარდამხარ, რომელიც გამარჯვების შემდეგ გაქრაო...*

*როდესაც ერი და ბერი ერთად დგას, მაშინ ღმერთიც შენთან არის. ასეა, ეს.*

*დიდება იმ დიდ წარსულს.*

*ღმერთი იყოს მუდამ ჩვენი მფარველი, ამინ!*

*ბადრი ლომაია*

### გიორგი ჭყონდიდელს!
### უპირველეს ჭყონდიდელს,
### ბატონ ნუგზარ ნადარაიას!

გიორგი ჭყონდიდელს, დიდ
კოლხიდელს,
სიბრძნეს ოდინდელს, გამზრდელს
როდინდელს,
დღესაც რომ გვზრდიდეს, დღესაც
რომ გვწვრთნიდეს,
ერთად რომ ვიდგეთ, ოფლსა
რომ ვღვრიდეთ, –
სხვა იქნებოდა სამშობლო ჩვენი...
გადათელილი დღეს კარიბჭენი,
წუთისოფლისგან დათვლილი დღენი,
ჩვენი გამჩენი და გადამრჩენი
არ მიგვატოვებს.
მკვდრეთით აღვსდგებით
სისხლით ნადენით, ფიქრით
რამდენით,
აღვზევდებით და ზეცას გავწვდებით.
დიდი კოლხეთის უდიდეს წარსულს,
ხმალს უქარქაშოს მეგლად
აღმართულს,
ო, რამდენ ტკივილს, ო, რამდენ
ტანჯვას,
იმ სისხლის ყივილს, უღვთოთა
განსჯას,
ქრისტეს სჯულისთვის წმინდა
მახვილით,
ეჰა, ქართველო, შენ მახვილო!
აღმართე ხმალი, ჰკა მთელიძალით,
გადაუმტვრიოთ მტერს ხერხემალი!
უდიდეს კოლხელს, უდიდეს
ქართველს
საქართველოი დღეს გინთებს
სანთელს.
ერის სიწმინდეს, ერის მშვენებას,
არ გვიწერია გადაშენება.
ჩვენ ჯოჯოხეთში ვიწვებით ახლა,
ვეღარ ავცდებით საქვეყნო განსჯას.
აღსდექ! ძლიერო ხალხო, მართალო,
კვლავ დაიძუხე, მთავარსარდალო!
მტერი მოგვიხტეს, ბრძოლა
მოგვინდეს,
სისხლსა რომ ვღვრიდეთ, რამე რომ
ღირდეს,
სად არის მეფე უფლის სადარი?
უპირველესი მთავარსარდალი!
დედა სამშობლო – ჯვარზე გაკრული,
ჯვარს ჩვენი რწმენა, ენა, მამული...
აი, ვინ ედგა კლდედ აღმართული,
ვეღარ დაჩრდილავს დრო
გარდასული.
წმინდა გიორგის ქუხილი წმინდა,
იქ ჭყონდიდელი სად ჯერ არს იდგა
ხმალაღმართული სიბრძნით და
ეშხით,
იქ, გოლგოთაზე შემდგარი ღმერთით.
თქვენი დიდგორი – ერის გვირგვინი,
ხმალთაკვეთება ძლევა ყიჟინით, –
აღარ მასვენებს, მომდევს
კვალდაკვალ,
ვერ გაგვიგია ახლა სად ვართ?!
როგორ გვჭირდება თქვენი ერთობა,
დროს მოუხდება თქვენი მეფობა!
როგორ ვიდექით დიდგორზე ერთად,
მით უფრო ახლოს ვიყავით
ღმერთთან.
დღეს – აღარც ღმერთი, აღარც
დიდგორი,
მოყვარე გვეხვრის, არ გვინდა ომი.
მოღალატენი გვიხრავენ გულებს,
სამშობლო ჩემო, ვერ გიერთგულეთ!
როგორც უფალი ჯვარზე გაკრული,
ჯვარზე გააკრეს ჩვენი წარსული,
არა ქართული, მხოლოდ სხვად
თქმული...
აი, დასტური ზღვა სიხარულის.
მაგრამ აღზევდა ქრისტესმიერი,
შენი იერით, თვალსაწიერით
ლეგენდა კოლხის წმინდა მახვილით,
ლეგენდა მოდგმის ცოტნეს
მახვილით.
დავიდგათ მეგლი, როგორც
კლდის ვეფხვი,
ისევ მორგავს და ეძიებს წარსულს,
როგორც რუსთველის უკვდავი ლექსი,
მარად გაყვება სამშობლოს,
ჯვარცმულს!

პოლიტიკა

# საით მიდის დემოკრატიის მატარებელი- წარსულისკენ თუ მომავლისკენ?

დემოკრატია, არჩევნები, ხალხი და ხელისუფლება განუყოფელი მცნებები გახდა, თუმცა, 25 წელი სულ შეცდომებზე ვიარეთ. საარჩევნო ეიფორია კვლავაც არ წყდება. რას მისცემს ქვეყანას უუფლებო პრეზიდენტის საერთო სახალხო არჩევნები ანუ დემოკრატიის ზეიმი? ბევრს არაფერს-ზედმეტი ხარჯებისა და დაძაბულობის გარდა. დემოკრატიამ თავად მისი წყარო ხალხი შეიწირა, მისი მცდარი არჩევანის გამო. ახლა კი მიდის მტყუან-მართლის გარჩევა, უბედურების ერთმანეთზე გადაბრალება და წუხილი. წუხს ,,ნაცმოძრაობა” და მისი ლიდერი სააკაშვილი-მალე ჩამოვალ და ქვეყანას დავალაგებო, ეს რა დღეში ჩაგაგდოთ ბანკებმაო, ჩამოვალ და სულ მალე ავაღორძინებ საქართველოსო. სააკაშვილი ბრუნდება, აი, კოჰაბიტაციის შედეგი. ეს იყო ხალხის ოცნება? დემოკრატიის სიდიადის დასახასიათებლად სხვა უკეთესი მაგალითი რა გინდათ? დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველო თავად ირჩევს უბედურებას, თუ ასე გაგრძელდა არჩევნების ცერემონიას და დემოკრატიას საბოლოოდ გადაყვება ქვეყანა. ალბათ, სხვაგან ვერ ნახავთ ასეთ პარადოქსებს.

ხალხი მიხვდა რა არის დემოკრატია, ვინაა ქვეყნის ნამდვილი პატრონი. რუსეთ-ამერიკამ გაიყო საქართველო და თუ რამე გადარჩა დემოკრატიის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ობიექტად იქცა-პრეზიდენტი-მთავრობა-პარლამენტი თქვენია და საქმეს მიხედეთო. ჩვენ კი ისიც ვერ გაგვიგია, რომელი წყობა გვინდა-საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო? და თუ საპარლამენტო ქვეყანა ვართ, პრეზიდენტს პარლამენტი უნდა ირჩევდეს. და თუ ხალხი ირჩევს, მაშინ საპრეზიდენტო წყობა გვქონია და მას ძალაც უნდა ჰქონდეს და უფლებაც. ან იქნებ, საერთოდ, გავაუქმოთ ეს ინსტიტუტი. რეგიონებში რატომღაც არა გვაქვს ხელისუფლების სამი შტო-აქ მერი და საკრებულოს თავმჯდომარეა, სადაა მესამე - პრეზიდენტი? როგორც ეს ზემოთაა-პრეზიდენტი, მთავრობა-პარლამენტი. კიდევ ბევრი სხვა შეუსაბამობაა პოლიტიკაში.

ოცნების პარტია თანდათან იმკის კოჰაბიტაციის შედეგებს. სახელისუფლებო ადგილებს იკავაებენ ადამიანები, რომლებიც თავის დროზე ,,ოცნებას” აგინებდნენ და საფრთხეს უქმნიდნენ. მმართველ პარტიაში - პარლამენტში გაჩნდა ბზარები, არადა, იყო მოლოდინი შედგებოდა ეს პარტია, შედგებოდა სახელმწიფო, სულს მოითქვამდა ხალხი. ქვეყანა იცლება და ტერიტორიები ისედაც დარჩება მავანს. სულიერი სიცარიელე ხომ ყველაფერზე უარესია, გრძელდება შეტევა ეკლესიაზე, ამ გზას დეპრესიისაკენ მივყავართ.

ის რომ სამართლიანობა არ აღსდგა ახალი უსამართლობის საბაბი გახდა. სკოლა ლამის განგსტერების სამყოფელს დაემგვანა, როგორც ცხოვრებაში ისე მიდის გარჩევა. საკითხავია, სანამ გაგრძელდება ,,ნაციონალებთან” - ევროპულ საქართველოსთან თანამშრომლობა და კეკლუცი? იქნებ გვაჩვევენ მათ დაბრუნებას, როგორც სახელისუფლებო პარტიულ მონაცვლეობას, არადა, თუ რამე უბედურება ჭირს ქვეყანას, ყველაფერი ამათგან მოდის. რუსეთსაც ხონჩით მიართვეს ქვეყნის ნაწილი და ამერიკასაც ფეხქვეშ ეგებებიან, რამდენ რამეს გაუსწორდეს ხალხი, რუსეთს, ამერიკას, ,,ნაციონალებს” მათ სატელიტ ტელევიზიებს და გაზეთებს და ა. შ. არის კი დემოკრატია ის იარაღი ამ ბრძოლაში რომ გამოდგება? ის დემოკრატია, რომელიც მხოლოდ ხელისუფლების კეთილდღეობას ვერ გასცდა. ეს არჩევნებიც წლიდან - წლამდე არ გვასვენებს, როგორც ყურადღების გადატანის ეფექტური საშუალება-ახლა გვეშველება!

პოლიტიკური ბატალიები მალე დაიწყება, არა ქვეყნის, არამედ პირადი კეთილდღეობისათვის. ოპოზიციაც ვერ ახერხებს გაერთიანებას ყველას პრეზიდენტობა უნდა, არადა ამდენი სკამი არაა. გრძელდება პოლიტიკური ძიძგილაობა-,,ნაცები” ,,ოცნებას” აგინებენ, სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე წუხან. სინდისი არ აწუხებთ და იმიტომ. ,,ოცნების” ავკარგს ხალხი შეაფასებს. ,,ნაცებს” ისევ ხალხის გაჭირვების იმედი აქვთ თავად რომ შექმნეს, გაძარცვეს ქვეყანა და ციხეები გაავსეს. ვითარების გამოსწორებას ბევრი დრო დასჭირდება. ,,ოცნებამ” თავი უნდა დაანებოს კოჰაბიტაციას ,,ნაცები” არ დაშლილან, არამედ - გაიშალნენ. ახალგაზრდობა უნდა გამოვიდეს ასპარეზზე ახალი ხედვით და გამოცდილების გაზიარებით. ქვეყანას მხოლოდ ეროვნული ხელისუფლება თუ გადაარჩენს. ხალხის გაჭირვებით მანიპულირება და პოლიტიკური ქულების დაწერა უნდა დამთავრდეს. ხალხი დაიღალა ტყუილი დაპირებებით. პარადოქსია, რომ მას უწევს ბრძოლა საკუთარ არჩევანთან, საკუთარ შეცდომებთან. სახელისუფლებო თამაშები იხვეწება და დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა მტერ-მოყვარე გავარჩიოთ. გახსოვთ, ალბათ, ,,ოცნებას” თავიდან უამრავი პარტია მიეტმასნა, ,,რესპუბლიკელებმა” კოჰაბიტაციას დაუდეს სათავე და მის შედეგებს ვიმკით ახლა. ახლა კი კოჰაბიტაცია გაევროპელებულ ,,ნაცებთან” მიმდინარეობს. და ვიდრე ბოკერია და ძმანნი მისნი პარლამენტში სხედან, კარგს არაფერს უნდა ველოდოთ.

პარტია იდეებს, ხალხის კეთილდღეობას უნდა ეყრდნობოდეს, აქ თანამდებობიდან წასვლასთან ერთად მთავრდება პარტიის თავმჯდომარეობა და ეს იდეებიც. რა მნიშვნელობა აქვს ჩინოვნიკები შავი ჯიპებით ივლიან თუ თეთრით? ღამის ეკონომიკის აღორძინებაზე ფიქრობენ, თითქოს დღის ეკონომიკა ყვაოდეს. ფული სად წავიღოთ არ ვიცით! კაზინო და ბარები კიარა, ადამიანები ნაგვის ბუნკერებში იქქებიან, რას იზამ, კაპიტალიზმია! მაინც რაღა უბედურება გადმოვიღეთ მისგან, ჩვენ ვერ ვისწავლეთ კაპიტალისტობა, ვერ ავაშენეთ სახელმწიო. ამას გამოცდილი ადამიანები სჭირდება.

ქვეყნის საპარლამენტო ლიდერს ვერ გაუგია რა არის ეროვნული ცნობიერება, ანუ რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან ქართველები, იტალიელები, ფრანგები თუ ჩინელები და ა.შ.

პრეზიდენტმა იმის მაგივრად, რომ თავის ხალხს შეუძახოს, გაამხნევოს, ლამის დებილებად, განუვითარებლებად შეგვრაცხა.

ერთ-ერთი მინისტრი, თურმე ყოველ მესამე დღეს პრემიას იღებს და წელიწადში ნახევარი მილიონი აუდია. (ბავშვებს ძეხვის ქურდობისთვის იჭერენ) ხალხი კი მათხოვრობს, გარბის ქვეყნიდან.

ჩვენ გავაუბედურეთ ქვეყანა და ახლა ნატოს იმედი გვაქვს, იმასაც რაღაც ჭირდება ამ ქვეყნიდან და კიდევ კარგა ხანს დაპირებაში გვამყოფებს.

ამერიკა ისევ ,,ნაცებს” უჭერს მხარს და 2020-ში დაგვიბრუნდებიან, ალბათ. ეს ქვეყანაც ჩვენი მტერია თუ მოყვარე? თუ ივანიშვილიც გაევროპებული ,,ნაცებისკენ” იხრება, მთლად კარგად გვქონია საქმე და მიდი გაიგე საით მიდის ჩვენი პოლიტიკური მატარებელი.

თავისუფლება არა მხოლოდ ქონება, სკამი და თანამდებობაა, თავისუფლება- სამშობლო, ტრადიციები, რწმენა, ზნეობა, ოჯახი და სიყვარულია. ჩვენ კი რა მივიღეთ? სამშობლოდან გაქცეული დედები, უზნეობა და დანგრეული ოჯახები. ვიღაცეები კი ისევ პატრიოტობენ, და გაიძახიან რუსეთია დესტაბილიზაციის წყარო, ყველაფერი მათი ბრალიაო. არადა, რომელმა უფრო ავნო საქართველოს- ,,ნაცებმა” თუ რუსებმა, ესეც გასარკვევია. ჩვენ არცერთი ალიანსის წევრი არავართ და ამათ ჭკუაზე სიარული კიდევ უბედურებას გადაგვყრის, დროა, საზოგადოებამ აიღოს პასუხისმგებლობა ქვეყნის მომავალზე. ივანიშვილი უნდა დაუბრუნდეს პოლიტიკურ ასპარეზს. გაუგებარია სააკაშვილს იჭერენ თუ პრეზიდენტად მოდის. ქვეყნის მტრებს არ უნდა მივცეთ საშუალება დემოკრატია ისევ გახდეს ძარცვის, ღალატისა და ნგრევის საშუალება.

ზ. აბრალავა

# ,,ფაზისის” საერო-სამეცნიერო აკადემიამ ახლადარჩეულ თვითმმართველობას დიდი ნიკოლაძის ცხოვრება და მოღვაწეობა შეახსენა

## როგორ აკლია ქვეყანას ულმობელი საქმის კაცი, რომელმაც დროს საუკუნეებით გაუსწრო



დასაწყისი იხილეთ № 11 (265) 2017 წელი

### ნიკო ნიკოლაძის შეხედულებანი პოლიტიკურ პარტიებსა და ლიდერებზე

... ნიკოლაძე ხაზს უსვამს გამბეტას მრავალმხრივ ნიჭს, რომელსაც განგებამ უხვად უწყალობა ყველა ღირსება, რაც სახელმწიფოს მეთაურისთვისაა აუცილებელი: მჭევრმეტყველება (რომლითაც მასებს ატყვევებდა), მოქნილი გონება (ადვილად რომ შეუძლია შეითვისოს ყოველი ახალი და ადვილადვე გახადოს საზოგადოების საკუთრება), გამბედაობა (რაც კადნიერებამდე და თავხედობამდეც მიდიოდა), მხიარულება (იმსახურებდა ყველას სიმპატიას), ფრთხილი ანგარიშიანობა, ენერგიულობა, სიმტკიცე, მოთმინების უნარი, ლაკონური მეტყველების ოსტატი (მასზე მეტად არავის შესწევდა ძალა რთული პოლიტიკური აზრის ორსიტყვიან ფორმულაში ჩამოსხმისა, რაც თვით გულცივთა გონებაშიც კი იბეჭდებოდა), საკუთარი თავისრწმენა (არავის სჯეროდა საკუთარი ვარსკვლავისა და თავისი მოწოდებისა ისე, როგორც ამ კაცს ჯერ კიდევ ბევრად უფრო ადრე, ვიდრე მის სახელს ვინმე გაიგონებდა), ბედმა მას ასევე უხვად მოუვლინა სხვადასხვა სიტუაციები, პირობები, შემთხვევები, რომლითაც მისი ტალანტი ასე რელიეფურად წარმოჩნდა. ნიკოლაძეს მიაჩნია, რომ იმ ხალხს, რომელიც სედანის შემდეგ (1870 წელი) ნაპოლეონ III არმიის განადგურებასთან ერთად შიშსა და ძრწოლას მოეცვა, იგი ციდან მოევლინა ღმერთივით, გამამხნევებელი სიტყვით და მისი ხელის ერთი აქნევით მიწიდან ამოიზარდა ხუთი არმია. მართალია მან ვერ შეაჩერა პარიზის დაცემა (ეს არავის შეეძლო), მაგრამ ნაციონალური საბჭოს ჩამოყალიბების და კომუნის დაცემის შემდეგ იგი რესპუბლიკის გამარჯვების მაუწყებლად მოგვევლინა. მისი მცდელობებით გაცვდა ყველა ზრახვა, ჩანაფიქრი და ინტრიგა ფრანგი მონარქისტების. თუმცა ასეთი

პოპულარობის მქონე ადამიანმაც კი ვერ შეძლო მასზე უგონოდ შეყვარებული მასა გადაეყვანა გზიდან და თავის რჩეულ გზაზე დაეყენებინა. ნიკოლაძის აზრით, ბრწყინვალე ნიჭიერებამ გამბეტას მხოლოდ იმიტომ შეუქმნა ავტორიტეტი, რომ მან თავისი ნიჭი მართალ საქმეს მიუძღვნა, საქმეს, რომელიც მოიტანა ისტორიულმა პროგრესმა. როდესაც თავისი წარმატებით თავბრუდახვეულმა, თავის ავტორიტეტს ბრმად მინდობილმა გამბეტამ მოწინააღმდეგეს სძლია, მან წარმოიდგინა, რომ მისთვის ყველაფერი დასაშვებია, რომ მას შეუძლია გაბედოს და შეცვალოს ისტორიის ბორბლის ტრიალი, შეუძლია მოატყუოს ისტორიის პროგრესი. ვიდრე ის ამ საქმის ერთგული იყო, ძალაც მის მხარეზე იყო, რადგან ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალა მას მიეკედლა. მიუხედავად იმისა, რომ მან დაუშვა რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი შეცდომა, ამ ჩავარდნებმა მისი მნიშვნელობა არ დააკნინა ფრანგთა თვალში.ნიკოლაძე გამბეტას უდიდეს დამსახურებად თვლის საშუალო ფენის - არმიისა და ბურჟუაზიის მიზიდვას მონარქიიდან რესპუბლიკისაკენ და დისციპლინის განმტკიცებას მათ შორის. მეორე დიდი დამსახურება იყო ის, რომ გამბეტამ შეძლო რესპუბლიკური პარტიის გაფართოება მთელი ქვეყნის მასშტაბით: “როცა პირველი ფალანგის საგმირო საქმეები პარტიისკენ მიიზიდავს მომხრეთა მასებს, შემდეგ საჭირო ხდება გონიერი და შორსმჭვრეტელი ორგანიზაციის ჩამოყალიბება, რომლის მიზანი იქნება წინსვლა არა ნახტომებით, არა ალალბედზე და თავპირისმტვრევით, არამედ მტკიცე და ბუნებრივი ნაბიჯებით, რომლისსიმწყობრეც იმატებს პარტიის ძლიერების თანდათანობით განმტკიცების ხარჯზე. დგება საკითხი, რომ ძალთა და სახსართა ხარჯვა უნდა შეეფარდოს მოსალოდნელ შედეგთა ნამდვილ მნიშვნელობას, რაც წინასწარ უნდა აიწონ-დაიწონოს, გამოითვალოს ყოველი ნაბიჯი, ყოველი გადასვლა, რათა არ მოგვიხდეს უკან დაბრუნება ან ერთი და იმავე ადგილის ტკეპნა”.აქედან გამომდინარე ნიკოლაძე აკეთებს შესაბამის დასკვნას, რომ “პოლიტიკაში მთავარია ენერგია, როგორც მოქმედების გეგმის შესადგენად, ისე მისი განხორციელებისთვის. ენერგია კი, ცნობილია, ძნელად შესანახია, მაგრამ ადვილი გასანიავებელი...შეიძლება მოაგროვო პიროვნებათა მასა, რომელთაც ძალა შესწევთ გამოავლინონ ენერგია გარკვეული საათებისა და დღეების მანძილზე, ძალუძთ ძრწოლის გარეშე შეხვდნენ სიკვდილს, გაბედულად შეუშვირონ მკერდი ტყვიას, მაგრამ ბევრ მათგანს, სავსებით ენერგიულ პიროვნებას, მაინც არ ეყოფა ამტანობა, შეინარჩუნოს ენერგიის იგივე ვადა რამდენიმე წლის მანძილზე, არა მხოლოდ სიკვდილის, არამედ წვრილი, ოდნავ შესამჩნევი დაბრკოლების წინაშეც. სიკვდილის მუქარის წინ ქედმოუხრელი ადამიანები წამდაუწუმ იდრიკებიან და ქედს უხრიან წვრილ ინტრიგებს, პროზაულ დაბრკოლებებს. ამის გამო პოლიტიკური მოღვაწე შეუდარებლად მტკიცე და თანმიმდევრული უნდა იყოს პარტიული პროგრამის განხორციელებაში, ვიდრე დროდადრო გაელვებულ აფეთქებებსა და მანიფესტაციებში, რაოდენ სახიფათო და ეფექტურიც არ უნდა იყოს ისინი”.

ნიკოლაძის თქმით, გამბეტამ შექმნა საერთო ფრანგული მასშტაბის ძლიერი პარტია, სადაც ტალანტები ვერც კი ასწრებდნენ გამოვლენას, რომ უკვე აწინაურებდნენ, უძებნიდნენ შესაბამის როლს.

გაგრძელება იქნება

### ტრანსპორტი, პრობლემები, პერსპექტივა

# საზოგადოებრივი სათათბირო მოქმედებს



2018 წლის 30 მარტს გერონტი კუხალეიშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს მორიგი სხდომა.

სხდომამ მოისმინა სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილის ბეჟან ჯალაღანიას ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანის საშუალებების რეგულირების, მოსახლეობის მომსახურების წესების, მარშრუტებისა და გრაფიკების განსაზღვრის, ავტოსადგურის ტექნიკური მდგომარეობისა და მისი ფუნქციური დატვირთვის შესახებ.

სხდომის გადაწყვეტილებით ინფორმაცია ცნობისა და რეაგირებისათვის გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიასა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

გთავაზობთ აღნიშნულ ინფორმაციას:

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტის სამარშრუტო მიმოქცევისა და სხვა სახის მომსახურების სერვისი რეგულირდება ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტებისა და ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებების შესაბამისად.

ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაწესებულია ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტები. მგზავრთა გადაყვანას 21 მარშრუტზე (სვლა-გეზი) ყოველდღიურად ახორციელებს 45 სამარშრუტო კერძო მიკროავტობუსი. გარდა ამისა განსაზღვრულია ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების განმახორციელებელი იურიდიული პირი - შპს „ფოთიქალაქტრანსპორტი“, რომელიც თვითმმართველობის მიერ არის დაფუძნებული და სუბსიდირებული პროგრამის განსახორციელებლად გადაცემული აქვს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 ერთეული სამგზავრო ავტობუსი, რომელთაგან ყოველდღიურად მოძრაობს 4 ერთეული. მგზავრებისათვის დაწესებულია შეღავათიანი ტარიფი, ამასთან ქველმოქმედების მიზნით ახდენს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამის ბენეფიციართა ტრანსპორტირებას .

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრულია 21 პარკირების საერთო ადგილი.

ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებას ხელი შეუწყო რუსთაველის რკალისა და აღმაშენებლის ქუჩის სავალი ნაწილისა და ტროტუარების მოწესრიგებამ.

მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა, აღნიშნულ სფეროში იკვეთება პრობლემები და მოსაგვარებელი საკითხები.

ტრანსპორტის ინტენსიურ მოძრაობას, განსაკუთრებით ცენტრალურ მაგისტრალებზე ხელს უშლის მოუწესრიგებელი ტროტუარები. ფეხით მოსიარულენი იძულებული არიან გადაადგილდნენ ავტომანქანების სავალ ნაწილზე, რაც საფრთხის შემცველია. ეს ეხება წმინდა გიორგის, აკაკის, ილიას, გურიის, ბერდიანსკის, ტაბიძის, ჭავჭავაძის, სამეგრელოსა და სხვა ცენტრალურ ქუჩებს.

ქალაქში სერიოზული პრობლემები შექმნა რამდენიმე წლის წინ დაწყებულმა კანალიზაციის გაყვანის სამუშაოების პროცესმა და შემდგომ მისმა შეჩერებამ. გადათხრილი ქუჩები და ტროტუარები სერიოზულ პრობლემებს უქმნის ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას. ეს პირველ რიგში ეხება დ. თავდადებულის, ბერდიანსკის, ილიას, გორგასლის, თამარ მეფის, ლიეპაიას, მიქაბერიძის, ტაბიძის, მშვიდობის, ათონელის, ამირანაშვილისა და სხვა ქუჩებს.

- სერიოზულ პრობლემად რჩება საკვანძო ადგილებზე საგზაო ნიშნების უქონლობის, ცენტრალური მაგისტრალების სავალი ნაწილის დახაზვასთან (უწყვეტი და წყვეტილი ხაზები, ტრანსპორტის შემაკავებელი ნიშნების დატანა შავ საფარზე და ა.შ.) დაკავშირებული საკითხები.

- მაგალითად, რუსთაველის რკალის გადაკვეთებზე ჭანტურიასა და ფარნავაზ მეფის ქუჩებზე არ არის საგზაო ნიშნები, რაც ხშირ შემთხვევაში ქმნის ავარიულ სიტუაციას, არ არის, ან განსაახლებელია შავ საფარზე დატანითი ნიშნები რუსთაველის რკალზე, აღმაშენებლის, ბარათაშვილის, აკაკის, წმინდა გიორგის, კოსტავას, ჭანტურიას, ფარნავაზ მეფისა და სხვა ქუჩებზე, სამეგრელოს მოედანზე და ა.შ.

- მოსაწესრიგებელია პარკინგის სისტემა. უნდა განიტვირთოს ფარნავაზ მეფისა და სამეგრელოს მოედნის, აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიები. ამ მხრივ რთული ვითარებაა აგრეთვე ლარნაკას, გეგიძის, სამხრეთ მოლის ქუჩებზე, რომლებიც ხშირად არიან გადახერგილი სატვირთო ავტომანქანებით, რაც წარმოადგენს მომეტებულ საფრთხეს, როგორც ფეხით მოსიარულეებისათვის, ასევე ტრანსპორტისათვის, ამასთან ქმნის ეკოლოგიურ პრობლემებს.

- ყურადღებას იმსახურებს ავტოსადგურში შექმნილი მდგომარეობა, შენობა ამორტიზირებული და ავარიულია. მასში გარდა ავტოსადგურისა განთავსებულია სხვა და სხვა უწყებები. იგი საჭიროებს კაპიტალურ რემონტს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დადგეს გაუთვალისწინებელი შედეგები. უნდა მოწესრიგდეს როგორც მისი, აგრეთვე მიმდებარე ტერიტორიებიც, უნდა დარეგულირდეს სადგურში ტრანსპორტის შესვლის პირობები.

- ქალაქში, გარდა არსებულისა, სამეგრელოს მოედანზე, აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობენ არაოფიციალური ავტოსადგურები, რომლებიც არ პასუხობენ არსებულ ნორმებსა და სტანდარტებს, აგრარულ ბაზართან უშუალო კომუნიკაციების თვალსაზრისით საჭიროა აღნიშნული საკითხის შესწავლა (აგრარული ბაზრის დირექციასთან ერთად) და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

---

**მილოცვა**

*„ეს იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე“*

## გოგი გაგნიძეს



ბატონო გოგი, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ხანგძლივ სიცოცხლეს, ზღვა სიყვარულს, სიხარულს და ბედნიერებას.

გვეამაყება, რომ ჩვენს გვერდით ხარ, რომ გამორჩეული ხარ როგორც კაი ყმა, ვაჟკაცობით და პატიოსნებით მყარად დგეხარ ფოთის ლეგენდებით მოცულ მიწაზე, რამეთუ ფესვი, როგორც თავად ამბობ აქაური გაქვს. გიყვარს ფოთი და შენი ბიზნესით ხელს უწყობ მის ეკონომიკურ განვითარებას.

გულს გაკლია, რომ მეუღლე ნაადრევად გარდაგეცვალა. მაგრამ ყველაფერს აკეთებ იმისათვის, რომ ოჯახს უდედობა არ აგრძნობინო. რამეთუ კარგად გესმის ოჯახი წყაროა ბედნიერების.

მეგობრების წრეში აღნიშნავ ამ შენი ბიოგრაფიის ერთ უმშვენიერეს თარიღს და ჩვენი სურვილია კიდევ მრავალ, მრავალ წელს აღგენიშნოს იგი.

შენი სადღეგრძელო იყოს მრავალჟამიერ ჩვენო გოგი!

შენი მეგობრები

---



## ლევთერ ქოჩუა ფოთის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს, ვულოცავთ

### შენ დაგეძებ

შენ დაგეძებ, შენ ერთადერთს,
მხოლოდ შენსკენ ვიღწვი,
და უკუღმართ ჟამთა სვლაში
სანთელივით ვიწვი.
შენს ეზოში შესვლა მინდა,
სანამ დაღამდება,
ჭადრის ჩრდილში ჩამოვჯდები,
გულიც ამღერდება.
თანაც ვშიშობ ვეღარ გნახო,
დამიღამდეს იქნებ,
მაშინ სიოს ჩამონაქროლს,
გამოვატან ფიქრებს.
იმედიც მაქვს, გავიარე,
ეკლიანი გზები,
დავაღწიე თავი უფსკრულს
და აღმართზე ვდგები.
ვხედავ მოსჩანს შენი ბაღი,
ნათელი და მშვიდი,
იქ მივდივარ, მივიჩქარი,
სანამ დაკრავს ბინდი.
ფეხს შევადგამ შენს ბაღნარში
და დაგიკრეფ ვარდებს,
მრავალ ტანჯულ ამ ჩემს
გულსაც, მოვაშორებ
დარდებს.
მზე ჩასვლა და ამოსვლისას,
სხივებს შენსკენ აფრქვევს,
ნიავი კი მშვიდად ქრის და
ჭადრის ტოტებს არხევს,
მე იქ მინდა სადაც შენ ხარ,
სადაც დარი დარობს,
ბაღ-ვენახი შარიშურობს
და ბულბული გალობს.
ჟამთა სვლაში ვატყობ კიდეც,
ბზარმა გამკრა ხმაში,
შემეწიე ღმერთო ჩემო,
რომელიც ხარ ცაში.
შენს ბაღნარში შესვლა მინდა,
სანამ დაღამდება,
ჩემი გული შენ დაგეძებს,
შენთან ამღერდება.

---

## ნატო თოდუა
## ცნობილი მეფუტკრე და სახალხო მთქმელი



### შენიშვნა

შენ შენიშვნა მაშინ მომე,
როცა ხალხში არა ვარ,
ხალხში კი სულ მალამაზე,
მე ამისთვის მზადავარ!
მე ვიცი და შენ არ იცი...
არცთუ ხშირი სახმარია,
თუგინდ მართლაც ასე იყოს...
არ იჩქარო მახარია.

### ალბათობა

დროის ცნობის ნიჭი თუ გაქვს?
დროის დროზე მორგების,
ალბათობა დიდი არის,
ცვლა ბრძოლის მოგების!...

### მიედ-მოედები

თუ დროს დროზე მოერგები,
და გონს დროზე მოეგები,
დაბნეული არ იქნები.
და არ მიედ-მოედები.
თავსაც არგებ სხვასაც არგებ
საქმიანი მომენტებით...

### ნაღმი

ამ ცხოვრებას ვაკვირდები,
დანაღმული ხიდია,
როდის ან სად აფეთქდება
ალბათობა დიდია,
გამნაღმილის ნიჭი თუ გაქვს
მარაქალა მინდია.
საბრალოა ის უნიჭო,
ბედი ბეწვზე კიდია.

### ცალანცები

გაჩენიდან წასვლამდე,
გზა-ზიგზაგი მრუდეა!
ურთულესი სამართავი,
სიურპრიზთა ბუდეა,
მოხერხებით აქ მოწყობა,
ერთეულთა ბედია.
ღირებულის რამის შექმნი,
ცალანცების ხვედრია.

### ცყვილა ვირჯებით

ჯერ იწყება აღმა სვლა, ცოდნა,
გამოცდილებით,
ზენიტამდე ასვლა და უკვე
რაღაც ცვლილებით,
დაღმართი დაიწყება, და
ნელ-ნელა ვილევით.
ჩვენ ცყვილა ვირჯებით,
უკეთესის მიგნებით.

### ჩვენებური

შენ კარგი გაქვს შენებური!
მე კარგი მაქვს ჩემებური!
ერთმანეთში სხვას ნუ ვეძებთ.
კარგი ვთესოთ ჩვენებური!

## გახსოვდეთ! მრავალმილიონიანი ლექსიკა - ენის დიდ წარსულზე მიანიშნებს და მისი დიალექტებად აღიარება ან უმეცრებაა ან კიდევ დაცინვა

# მძინარე არს ენა ლაზური დღესამომდე...

### (პასუხი მეცნიერებს) გაგრძელება

…,,ასეთ პირობებში, როცა ქართველი ერის ინტერესების ყველაზე შესაფერისი, თვალსაზრისის გამოთქმა შეუძლებელი გამხდარიყო, ქართველ ლინგვინისტებს ისღა რჩებოდათ, რომ აერჩიათ დარჩენილი ორი თვალსაზრისიდან ერთ-ერთი: მათ მეგრულ, ლაზურ და სვანური, ან ორ ენად, (მეგრულ-ჭანურად და სვანურად) ან სამ ენად, (მეგრულ, ლაზურად და სვანურად) უნდა, მიეჩნიათ, მესამე შესაძლებლობა, აღარ რჩებოდა ქართველმა ლინგვინისტებმა იმ ეტაპზე ორი უარესი ვარიანტიდან ის აირჩიეს, რომელიც შედარებით უფრო ,,სასარგებლო" იყო ერის ერთიანობის შესანარჩუნებლად. ,,მართალია, დიდი ბრძოლის ფასად, მაგრამ შესაძლებლად შეიძლება ჩათვლილიყო ქართველი ერის ერთიანობის შენარჩუნება". ?(თ. გვამცელაძე)

ვფიქრობ, ყოველივე ზემოთთქმული არ შეიძლება დარჩეს ყურადღ ბის მიღმა, ვინაიდან ქართველი ლინგვინისტების მიერ ატეხილი აჟიოტაჟი თუ, რომელი ენა უნდა დარჩენილიყო ერთიანობის შენარჩუნებისათვის, მიმაჩნია წინასწარ დაგეგმილ პროვოკაციად. მათი ასეთი ქმედებით ისინი უფრო დიდხანს აყენებენ ქართულ ენას უფრო დიდ ზიანს, ვიდრე მის დაცვას. ისინი შეგნებულად და მიზანმიმართულად ცდილობენ დააკნინონ (ქართული ენის დათვური სამსახურის გაწევით). მეგრულ, ლაზურ, სვანური ენები. თითქოს ეს ენები იყვნენ მთავარი დამაბრკოლებელნი. ჩვენი ერთობის და ღიად, (ყოველგვარი ფაქტების გარეშე) სეპარატიზმის გამოვლინებებზე ტეხენ განგაშს. ისმის კითხვა: რომელი ჭკუათმყოფელი ჩვენი ქვეყნის მკვიდრი გასცდება ეროვნულ ინტერესებს და დაიწყებს აღნიშნული ენების მანიპულირებით ქართული ენის დაკნინებას, რომელიც მართლაც ხელს შეუწყობს სეპარატიზმის გამოვლინებას, რაც დაუშვებელია, მაგრამ ეს ხომ ასე არ არის პატივცემულო ლინგვინისტებო! და რატომ გაღიზიანებთ ასე ძლიერ ის ჭეშმარიტი ისტორიული ფაქტი, რომელიც (მიუხედავად თქვენი მრავალგზის შეტევებისა, შეუვალ ისტორიულ წყაროდ რჩება. დიახ, მეგრულ-ლაზურ-სვანური ენაა და არა დიალექტი, კილოკავი თუ ჩამორჩენილი ქართული, როგორც ამას ჩვენი სათაყვანებელი მგოსანი უპატიოდ მოიხსენიებს. ისტორიული მარგალიტების არსებობა პირიქით სიმდიდრეა, გამამდიდრებელია ქართული ენის, რომელიც მსოფლიო თოთხმეტ დამწერლობათა შორის ერთ -ერთ წარმოჩენილ დამწერლობად ითვლება. პატივცემულო ლინგვისტებო, ენად ცნობა და მისი აღიარება ხომ არ ნიშნავს ქართული სახელმწიფოს რღვევას, რასაც დამეთანხმებით ალბათ აღნიშნულ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს არასდროს ,,ფიქრადაც არ გაუვლიათ ენიდან გამომდინარე ჩვენი ერთობის რღვევის სურვილი. თქვენს მიერ მუქ ფერებში წარმოჩენა უფრო ასხამს მტრის წისქვილზე წყალს, (რუსეთის იმპერია და არამარტო) რომლებიც მუდამ (სხვა სახელმწიფოების დაპყრობით სულდგმულობდნენ და ამას შიდა არეულობით, (გაყოფა) აღწევდნენ. პროფ. თ. გვანცელაძემ დაასახელოს თუნდაც ერთი ფაქტი ამ კუთხეების რუსულ ანკესზე წამოგების, რათქმაუნდა ასეთ ფაქტს პატივცემულო მკითხველო ისტორიულად, ჩვენი ერთად არსებობის მანძილზე ადგილი არ ჰქონია. პასუხი თქვენთვის მიმინდია…

,,სამი-ოთხი ენის არსებობა ლოგიკურად, გულისხმობს სამი-ოთხი ეთნოსის არსებობის აღიარებას. გარდა ამისა იმისი შიში ვაი თუ მტერმა პროვოკაცია მოგვიწყოს". (თ. გვანცელაძე).

,,საქართველო კლავაც უნდა ენდოს სამეგრელო-სვანეთის ქათულ მოსახლეობას, ქართველი ერის განუყოფელ ნაწილს."… (თ. გვანცელაძე).

სამი-ოთხი ენის არსებობა, როგორც აცხადებს პროფ. თ გვანცელაძე გულისხმობს სამი-ოთხი ეთნოსის არსებობას, ნუთუ ეს ასე ძლიერ აშინებს ქართველ ლინგვისტებს, რომ მტერმა პროვოკაცია არ მოგვიწყოს. არამგონია, მათ ეს ძალზედ აწუხებთ ჩვენი ერთობისთვის. ყველამ კარგად იცის, რომ ეს ღირსეული მხარეები მუდამ საქართველოს, (იბერიის) სადარაჯოზე იდგნენ და ჩვენი ერთობისათვის ათასწლეულების მანძილზე სიცოცხლესაც სწირავდნენ. მართალია, მტერი მუდამ ცდილობდა და დღესაც ცდილობს პროვოკაცია მოგვიწყოს, მაგრამ გარწმუნებთ! არა შენი ღირსების, (ისტორიული ფაქტის) წარმოჩენის შესანარჩუნებლად, რასაც პირიქით ქართველი ლინგვისტები ებრძვიან, რომელიც არის ჩვენი ერთობის ქვაკუთხედი, არამედ მის დაკნინებას, მიჩქმალავს, ჭეშმარიტი ისტორიული ფაქტების სიყალბით შეცვლას და თქვენეული მეცნიერული დასკვნების ფართო ასპარეზის მიცემას, რაც ჩვენი ერთობის დაყოფის რეალური საშუალებაა.

ასევე ყოველგვარი თავშეკავების გარეშე ხმამაღლა აცხადებთ: ,, საქართველო კვლავაც უნდა ენდოს სამეგრელო-სვანეთს". ვინ მოგცათ თქვენ ასეთი უტიფარი განცხადების გაკეთების უფლება იმ კუთხეების მიმართ, რომლებიც რელიგიის, მითების, ლეგენდების პრეისტორიული პირველადი ცივილიზაციის საწყის რასად არიან ცნობილნი. მოვითხოვ განგვიმარტოთ: სად შევცდით და რატომ ასეთი მოწყალება ნდობასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, ამ სახის უფლება დედამიწის ზურგზე არავის აქვს, გარდა ღმერთისა და რომ სამეგრელო-სვანეთს ღვთის წინაშე არ დაუმსახურებია. ის სასჯელი, როგორც სოდომსა და გომორს. თქვენ კი, დანაშაულის პატიებას და მოწყალებას იძლევით. აი, ასე გესმით თქვენ ჩვენი ქვეყნის ერთობა, მე კი მოკლედ მინდა ვუპასუხო თქვენს კვლავ ნდობით გაღებულ მოწყალებას სამეგრელო-სვანეთის მიმართ. სამეგრელო-სვანეთი მუდამ იყო და დარჩება ჩვენი ქვეყნის ერთობის ქვაკუთხედად, რომელთა წყალობით სხვა კუთხეებთან ერთად შევინარჩუნეთ : ,,ენა, მამული, სარწმუნოება".

,,სვანური ტერმინი ანგ, რომელიც წმინდა ხეს ან სარს წარმოადგენს, თავისი შემადგენელი ნაწილებით ეგვიპტური anhkh-ის ტიპოლოგიურ ტერმინად გვესახება. anhkh -ჰქვია ეგვიპტელთა თავმომრგვალებულ ჯვარს, რომელიც სიცოცხლის სიმბოლოდ არის მიჩნეული".(პროფ. ჯ. რუხაძე).

პროფ. ჯ. რუხაძე სვანურ ტერმინ ანგ-ს, (წმინდა ხე) და ეგვიპტური სიტყვა anhkh-ის, (თავმომრგვალებული ჯვარი) ტიპოლოგიურ მსგავსებას სავსებით სამართლიანად ხედავს, თუმც არა აქვს განმარტოებული ძირეული წარმომავლობის მიზეზობრივი კავშირი ეგვიპტურ anhkh-სთან, რაც სიცოცხლის სიმბოლოდ არის მიჩნეული. მაღალი ალბათობით ვფიქრობ, რომ სამოთხის ბაღი, რომელიც ღმერთმა გააშენა ედემში, სადაც ბაღის შუაგულში აღმოცენდა ხე სიცოცხლისა და ხე კეთილის და ბოროტის შეცნობის არის აქ! ანგ, რაც წმინდა ხეს ნიშნავს მიუთითებს მარადიულ დღემდე დაფლული-ლაზურ ანბანზე, რაც ეგვიპტური anhkh-ის ტიპოლოგიურ ტერმინად გვესახება. მართალია მოღუნული ჯვარი ეგვიპტეს უკავშირდება, მაგრამ თუ ჩვენ სიღრმისეულად ჩავწვდებით მის პირველად წარმომავლობას, მივყავართ არა დღემდე წარმოდგენილ ეგვიპტესთან, არამედ ეგიაფეთამდე, (ანუ ეგრისელ-იაფეთამდე, რომლის შთამომავლები გახლავთ მეგრელ-სვანები), სადაც წინასწარ იყო ნაუწყები, ცის მეუფის ამ ქვეყნად მოვლინებაზე-მესიაზე, ახალ აღთქმაზე, რაც ჯვარს უკავშირდება, რომელიც გახლავთ სიცოცხლის სიმბოლო.

ცნობისთვის სვანეთში ლიმურყვამალის-კოშკობის დღესასწაულზე თოვლისგან აშენებული კოშკის შუაგულში ჩამაგრებული იყო სამი მაღალი ხე ან სარი, რომელსაც სვანები ანგს-ს ეძახიან და, რომელზედაც მიმაგრებულია მანდილიანი დროშა, ხოლო წვერზე-ჯვარი და ადამიანის გამოსახულება ლამარია (ჯ. რუხაძე), რომელიც გახლავთ დედა ქალღმერთი, რაც მეგრულ-ლაზურ-სვანურად ლაზ დედაღვთაებას ნიშნავს, ანუ ლაზურ ანბანს, დასაბამისეულ პირველად ენას, რომლის წინააღმდეგი გახლავთ ქართველი მეცნიერების საკმაოზე მეტი ნაწილი. აი, ესეც ჩვენი ერთობისთვის ,,მებრძოლი" ქართველი მეცნიერლეგიონერების მიერ გაწეული ,,ღვაწლი" , მაგრამ საბედნიეროდ როგორც უფალია ერთი ქვეყნიერებაზე, ასევე ერთია პირველადი, დედა ენა-ლაზური, რომელიც მძინარე არს დღესამომდე…

ნიკოლოზ იბერი

გაგრძელება შემდეგ ნომერში

---

### ფოთის სანავსადგურო შესაძლებლობები საუკუნეებიდან მოდიოდა

## წყარი ნაწყარუს, შარა ნაშარუს (წყალიც და გზაც - ძველ კალაპოტში)




ათი წელი სრულდება, რაც გასხვისდა ფოთის ნავსადგური და დღემდე არ გაცხადებულა რა პირობებით მოხდა ეს ანტისახელმწიფოებრივი აქტი. საქართველოს მთავრობასაც და ნავსადგურის მფლობელებს ,,პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული" და ,,პირს ვერ გააღებინებ" რაიმე ინფორმაციის მისაღებად. არადა, ნავსადგურის გასხვისების პირობები კანონით ღია ინფორმაცია უნდა იყვეს. საინტერესო არ არის ისეთ გაუცხადებელს რას ინახავს ხელშეკრულების აქტი?

ნავსადგური უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტი რომ არის და ის გადამწყვეტ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში, ეს ცხადია. ამიტომაც ფოთის ნავსადგურის გასხვისებამ მოსვენება დაუკარგა მთავრობასაც და კერძო მესაკუთრეებსაც, გაჩნდა ახალი ნავსადგურების გაშენების იდეები. ასე იშვა ლაზიკასა და ანაკლიის პორტების მშენებლობის, თვით ფოთის ნავსადგურის გაფართოების წინადადებები. ყური გაჭედა ეპითეტებმა ღრმაწყლოვანი, მრავალპროფილიანი, მრავალდარგოვანი და მრავალმა სხვამ. მაგრამ ამ საქმიან ფუსფუსში ნაკლებად თუ იგრძნობდით ქვეყნის ბედით დაინტერესებას, ეკონომიკის განსავითარებლად ახალი გზების ძიებას, მომავალზე გათვლილი საქმის წარმოებას. ამიტომაც ყურით მოთრეული პროექტების უმრავლესობა გამოუსადეგარი აღმოჩნდა და ისტორიას ჩაბარდა. ასე დაემართა სანავსადგურე ქალაქ ლაზიკას მშენებლობას, დიდ ეჭვებს იწვევს ნავსადგურის მშენებლობა ანაკლიაშიც.

არავინ იფიქროს, რომ ვინმე წინააღმდეგია ანაკლიაში ახალი ფორმაციის ნავსადგურის მშენებლობის, იმ რეგიონში საზღვაო სტრუქტურის განვითარების, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს სხვის საზიანოდ და განსასაზღვრავია რამდენად ხელსაყრელია ქვეყნისთვის ახალი ნავსადგურის მშენებლობა, რაც 10-15 წელიწადში არ დასრულდება და ბევრად მეტ თანხას შეისრუტავს, ვიდრე ეს თავიდანაა განსაზღვრული. ფუი ეშმაკს, სწორედ ამიტომაც ხომ არ არის განსაზღვრული ღრმაწლოვანი ნავსადგურის მშენებლობა ანაკლიაში?

იტყვიან, ფულს სუნი არ ასდისო. სინამდვილეში ფულს სუნიც ასდის და მიზიდულობაც ანდამატივით აქვს. სხვა მხრივ წარმოუდგენელია ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობის პროექტში მონაწილეობა მიეღო საქართველოს მთავრობისა და უმსხვილესი ბანკის პირველ პირებს.

ჩვენ, ფოთელებს პორტები, დიახაც, მიგვაჩნია ქვეყნის საზღვაო კარიბჭედ და მას უდიდეს როლს ვანიჭებთ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში.

გამოუსწორებელი შეცდომაა დაშვებული ფოთის ნავსადგურის გასხვისებით. და ეს შეცდომა დაუყონებლივ უნდა გამოსწორდეს. ქვეყნის განსავითარებლად უბრალოდ სხვა გზა არ არსებობს. ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ანაკლიაში გაშენდება ახალი ნავსადგური, თუ ფოთის კლასიკური ნავსადგური გაფართოვდება და აღსდგება თავის უფლებებში. მნიშვნელოვანი მხოლოდ ის არის თუ რა ფასად დაუჯდება სახელმწიფოს დაკარგული ზიანისა და იმოჯის აღდგენა, რომელი პროექტი უფრო მომგებიანი იქნება.

კაცი იტყვის ეს კიდევ რა პრობლემაა პროექტის უკეთესობის განსაზღვრა- დაჯდებიან სპეციალისტები, საჭიროების შემთხვევაში უცხო ქვეყნის სპეციალისტებს მოიწვევენ, იმსჯელებენ, განსაზღვრავენ და გადაწყვეტენო. ისემაც კარგი დაგემართოთ, ასე პატიოსნად მეცნიერული , ინჟინრული ან ეკონომიკური თვალსაზრისით რომ წყვეტდნენ ქვეყნის საკითხებს. მაშინ ვის დარჩეს ბარაქა? ჭიდაობა და ბრძოლაა არა იმისთვის რა უფრო უკეთესია, რა უფრო მეტ სარგებელს მოუტანს ქვეყანას, არამედ საიდან უფრო მეტი „ჩამოჩხრიალდება" საკუთარ ჯიბეში."ზემოთ" ყველაფერს ითვლიან, წინასწარ საზღვრავენ და არავინ გაგაბედვინებს მათი განსაზღვრის გარეშე „ჩიტის აფრენასაც კი".

მიამიტ და საქმეში ჩაუხედავ კაცს გაუჭირდება გაგება იმისა თუ რაზეა საუბარი. მაგრამ, როგორც იტყვიან, უბრალო და გენიალური ყოველთვის ზევით და ღიად დევს. საკმარისია სურვილი გაგიჩნდეს გონივრულად გადაწყვიტო საქმე და ხელით გადასწვდები იმ პროექტებს, რომელიც მისაღებია საქართველოში თანამედროვე ღრმაწლოვანი მრავალპროფილიანი ნავსადგურის ასაშენებლად. უკვე ათეული წლებია ეს პროექტები (მათ შორის ფოთელი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების) დასეირნობენ უწყებიდან უწყებაში, კაბინეტიდან კაბინეტში, იცვლებიან მთავრობები, მაგრამ არ იცვლება ქალაქ ფოთის განვითარებისადმი დამოკიდებულება. არა ერთხელ ითქვა ღიად, რომ ქალაქის განვითარებასა და შემდგომ აღმავლობაზე ბევრად არის დამოკიდებული მთლიანად საქართველოს ეკონომიკის აღორძინება. აქ ყველაფერი ღიად და ხელის გულზე დევს. საჭიროა მხოლოდ არსებული პოტენციალის ამოქმედება და საქმის უნარიანი გაძღოლა. გაუგებარია, მთავრობა რატომ უგულვებელყოფს ფოთის შესაძლებლობებს?

ფოთი უძველესი სანავსადგურო ქალაქია. ის ცნობილია ბევრი საუკუნით უფრო ადრე, ვიდრე რუსეთის მეფე დაარსებდა აქ სანავსადგურე ქალაქს. სწორედ ამ ნავსადგურზე გადიოდა უძველეს დროიდან ის „აბრეშუმის გზა", რომელიც ინდოეთიდან და ჩინეთიდან მოემართებოდა ევროპისკენ. ფოთის ამღორძინებელი ნიკო ნიკოლაძე წერდა: „ფოთი ოდესღაც აჯობებს ოდესას, თუ ჩემს გეგმებს განახორციელებენო!" კიდევ ბევრი სხვა მაგალითის მოყვანაც შეიძლებოდა.

ეტყობა , ძველადაც და ეხლაც არის რაღაც ისეთი „დვრიტა", რომელიც ხელს უშლის ქალაქის აღორძინებას. აი ეს გამოუცნობი ზღუდეა დასაძლევი და გადასალახი.

ძველი მეგრული ანდაზა ღაღადებს-,,წყარი ნაწყარუს, შარა ნაშარუსია"და სწორედ ის დროა დამდგარი, როდესაც თავის ბრწყინვალებით უნდა აღსდგეს ძველი „აბრეშუმის გზა" და წყალმა იქ უნდა გაიაროს, სადაც საუკუნეები მიედინებოდა, ხოლო გზაც იქ გაივლის, სადაც ის საუკუნეები გადიოდა.

ფოთი უძველესი ისტორიული ქალაქია. ისტორიის ცოდნა ერთნაირად აუცილებელია ქვეყნის ხელმძღვანელობისთვისაც და ახალი ისტორიის შემქმნელებისთვისაც. მისი უგულვებელყოფა უფრო ზიანის მომტანია ქვეყნისთვის.

დაგვიჯერეთ ფოთელებს. ჩვენ არ გატყუებთ.

ქ. ფოთის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის თავჯდომარე
ო. ხუხუნი

# თემურ ფაჩულიას წიგნების პრეზენტაცია

საქართველო-გულაგი ფიქრები განსჯისა და დასკვნისათვის.



თეიმურაზ ფაჩულიას კარგად იცნობს ფოთის საზოგადოება, როგორც მეცნიერს, მწერალს და მოღვაწეს. მას დიდი წვლილი მიუძღვის ფოთში განათლების კერების საუნივერსიტეტო სწავლების დამკვიდრებისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი რამის გაკეთება არ დასცალდა, როგორც ბევრი სხვა პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება სააკაშვილის რეჟიმმა არ დაინდო, ასე რომ მანაც ნახა ცა გისოსებში. აქ დაიწერა რამოდენიმე რომანი. ერთ-ერთი მათგანი ,,ბესარიონ ხვინთელიანი", ლექსების კრებულთან ერთად ახლახან გამოიცა.

10 აპრილს ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო ახალი წიგნების პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდა თავად წიგნების ავტორი. შეხვედრაზე შესავალი სიტყვით გამოვიდა საავტორო სკოლის დირექტორი თამარ ფაჩულია, რომელმაც ვრცლად ისაუბრა მეცნიერისა და მწერლის შემოქმედებაზე, მის წინააღმდეგობრივ ცხოვრებაზე. ახალი რომანი სრულად ასახავს საქართველოს ბოლოდროინდელ ტრაგიკულ მოვლენებს ნეოფაშიზმის-როგორც ახალი რეჟიმის სავალალო შედეგებს, ქართული გულაგის საშინელ პერიოდს.

სადამოზე სიტყვით გამოვიდნენ სოციოლოგი, ფილოსოფოსი ლირა კეკელიძე,საკრებულოს წევრი დარეჯან ცხვიტარია, ქალაქის კულტურის სამსახურის წარმომადგენელი ირმა გუგუშვილი, ისტორიკოსი, არქეოლოგი სილოვან გვასალია. ჟურნალისტი ირმა კეკელიძე, მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის პედაგოგი ფოთოლა ქაჯაია. გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით" რედაქტორი ზურაბ აბრალავა, პედაგოგი ნონა ხუხია.

თეიმურაზ ფაჩულიამ უპასუხა დამსწრე საზოგადოებს და მოსწავლე - ახალგაზრდობის შეკითხვებს,ისაუბრა სამომავლო




გეგმებზე, თქვა, რომ ეროვნული მთავრობის ჩამოყალიბება არის გამოსავალი ამ ჩიხური მდგომარეობიდან. მან ასევე ისაუბრა ფოთის დამსახურებაზე ქვეყნის წინაშე, რომ აქედან დაიწყო კაპიტალიზმის ეპოქა. ფოთმა მისცა საქართველოს ,,ფაზისის აკადემია", აქ დაირწა ფეხბურთის აკვანი. ფოთს-ევრაზიის პორფოსტს მეტი ყურადღება სჭირდება და ასეთ სავალალო მდგოიმარეობაში არ უნდა იყოს. მან მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, საბიბლიოთეკო გაერთიანების უფროსს ნუნუ ჭელიძეს ყურადღების, დაფასებისა და თანადგომისათვის.

„ფაზისის" აკადემიის სხდომა

# მიახლოება ფესვებთან
# დროა დავიწყოთ ფაზისის არქეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები.



,,ფაზისის" აკადემია კვლავაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქართველოს-კოლხეთის ისტორიის კვლევას. ამ მიმართულების სამეცნიერო ნაშრომების პოპულარიზაციას, ისტორიულ ფესვებთან მიახლოებას.

აკადემიის ფოთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი (დოდო ხუხია) ამ მიზნით ხშირად იწვევს მეცნიერებს, სპეციალისტებს, ცნობილ პროფესორებს, აკადემიკოსებს, ასევე გარკვეული ყურადღება ეთმობა ქალაქის თავის ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის პროპაგანდას. რეგულარულად განიხილება მისი პუბლიკაციები, ნაშრომები პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე. ასევე დიდი ყურდღება ეთმობა ფაზისის ადგილმდებარეობის განსაზღვრას, რისთვისაც არაერთხელ იყვნენ მოწვეულნი ისტორიკოსები, მეცნიერები და არქეოლოგები.

აკადემიის ამასწინანდელ სხდომაზე მოისმინეს ცნობილი არქეოლოგის, ხობის საპატიო მოქალაქის



გიორგი ჩიტაიას მოხსენებები:

1. ახალი მასალები ხობის მონასტრის ისტორიიდან
2. საქართველოს რესპუბლიკის 100 წლისთავისათვის-სამშობლოსათვის დაღუპული უცნობი გმირის შესახებ
3. ფაზისის თაობაზე.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ფაზისის არქეოლოგიური კვლევის აუცილებლობაზე.

მან აღნიშნა: ფაზისი საქართველოს ტერიტორიაზე პირველი ქალაქი, ურბანისტული ცივილიზაციის პირველი კერაა,რომლის ადგილმდებარეობის დადგენასა და შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხების კვლევისას. თითქმის ორი საუკუნეა მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება დაინტერესებული ფაზისით, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ დაუდგენელია. ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროები არ იძლევიან სრულ სურათს ფაზისის საქალაქო ცხოვრების შესახებ. თანამედროვე ფოთის ცენტრიდან 5-6 კილომეტრის დაშორებით აეროდრომთან არის ადგილი, რომელსაც ,,ნაჯიხუს'' უწოდებდნენ. აქ ფრანგ მოგზაურს დიუბუა დე მონპერეს 1831-1834 წლებში უნა-

ფაზისი მსოფლიო ტურიზმის რუკაზე

ხავს ძველი ნაციხარი, რომელიც ოთხკუთხა მოყვანილობის ყოფილა, კუთხეებში აგურით ნაგები 40 ნაბიჯის სიგრძისა და სიგანის კოშკები მდგარა. ისინი ერთმანეთთან მიწაზვინულით ყოფილა შეერთებული. სიმაგრეს კარიბჭე სამხრეთიდან ჰქონია დატანებული. როგორც მეცნიერები ფიქრობენ აქ უნდა ყოფილიყო გვიან ანტიკური ხანის (I-VI სს) ქალაქი იფაზისი, რომლის შესახებ ნაშრომები აქვთ გამოქვეყნებული ცნობილ მეცნიერებს



ბ. კუფტინს, ნ. ხოშტარიას, მ. ბერძენიშვილს, ნ. ბერძენიშვილს, ნ. ლომოურს, ლ. ელენიცკის, თ. მიქელაძეს, ო. ლორთქიფანიძეს, გ. გრიგოლიას, გ. გამყრელიძეს, რ. პაპუაშვილს... ეს ძეგლი თავისი კოშკებითა და მიწაზვინულით 1959–1960 წლებში ფოთის აეროდრომის მშენებლობისას დაუნგრევიათ. აქ, მდინარე რიონის ორივე მხარეს შეიმჩნევა გვიანანტიკური ხანის (I-VI სს) აგურისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ცნობილი მეცნიერის მ. ბერძენიშვილის მიხედვით შეიძლება სწორედ ეს ძეგლი იქცეს საიმედო ორიენტირად ანტიკური და ელინისტური ხანის ქალაქ ფაზისის მისაგნებად. აქვე მდგარა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელსაც VI საუკუნის ავტორი აგათია სქოლასტიკოსი ,,ქრისტიანეთა შორის სახელგანთქმულ ტაძარს'' უწოდებს. ამ ტაძრიდან უნდა იყოს წაღებული ქუთაისის მუზეუმში დაცული ,,პალიასტომის ღვთისმშობლის''სახელით ცნობილი ხატი, რომელიც გვიან შუასაუკუნეებში ბაგრატის ტაძარში იყო დასვენებული. პროფესორ გურამ გრიგოლიას ამ ტაძრის შესახებ ჩაუწერია ლეგენდა, რომლის მიხედვითაც იგი ანდრია მოციქულს აუგია.

ეჭვგარეშეა, რომ ფაზისის ნაქალაქარის შესწავლას უდიდესი სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს, ხოლო გამომდინარე იქიდან, რომ ფაზისის თემა უაღრესად პოპულარულია ძველი მსოფლიოს ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის,იგი მნიშვნელოვნად გაზრდის ჩვენს ქალაქში კულტურული ტურიზმის მიმდევართა რაოდენობას.

ვფიქრობთ საჭირო და საშური საქმეა ზემოთ ხსენებული ტერიტორიებზე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება, რისთვისაც პირველი ეტაპის არქეოლოგიური სამუშაოებისათვის საჭიროა თანხა-25 ათასი ლარის ოდენობით.

ვთხოვ ,,ფაზისის" აკადემიის ხელმძღვანელობას ქალაქის თვითმმართველობის წინაშე დააყენოს ეს საკითხი, ამით ფოთი-ფაზისის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ეტაპს ჩაეყრება საფუძველი.

# შემობრუნება ზღვისკენ

## ფოთში მალთაყვის უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმა განიხილეს



მალთაყვის უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით მომზადდა, 16 აპრილს ფოთში საჯარო შეხვედრაზე განიხილეს.

პრეზენტაციას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და მოქალაქეები, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნინო გვენცაძე და დეპარტამენტის ექსპერტ-კონსულტანტი კახა ნიაური ესწრებოდნენ.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №632 განკარგულების შესაბამისად, ფოთში მალთაყვის უბნის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით ეკონომიკის სამინისტრომ საპროექტო მომსახურების შესარჩევი კონკურსი გასულ წელს გამოაცხადა, სადაც გამარჯვებულად გამოვლინდა შპს ,,ურბანიკა".

ამ ეტაპზე დასრულდა აღნიშნული დოკუმენტაციის მომზადების მეორე ეტაპის სამუშაოები და მიმდინარე წლის 16 აპრილს ქ. ფოთში ჩატარდა აღნიშნული დოკუმენტაციის საჯარო განხილვა. ავტორთა ჯგუფმა პრეზენტაციის სახით წარმოადგიმა მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად ჩაერთო განხილვის პროცესში და, საერთო ჯამში, მოსახლეობამ დადებითად აღიქვა წარმოდგენილი ინფორმაცია.

# ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში გაიმართა ბავშვთა ნახატების გამოფენა თემაზე - „ქალაქი და ზღვა"



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე მამუკა პაპასკირი, მერის მოადგილე გიორგი ფარეშიშვილი, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი ინგა მასხულია, დედა ენის კვირეულის ფარგლებში, ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში, ბავშვთა ნახატების გამოფენას დაესწრნენ. - „ქალაქი და ზღვა" –ამ თემატიკაზე შექმნილი ნამუშევრები ფოთის აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სასწავლებლის მოსწავლეებმა და მათთან ერთად, დედაქალაქიდან მოწვეულმა სტუმრებმა, თბილისის სოლიკო ვირსალაძის სახელობის №1 სამხატვრო ხელოვნების სკოლის აღსაზრდელებმა წარმოადგინეს. - ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში, ა(ა)იპი სახელოვნებო ცენტრის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის, მხატვრული კითხვის წრის მოსწავლეების მიერ ლიტერატურული კომპოზიცია „ოდა ქართულ ენას" იქნა წარმოდგენილი. ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ პოეტები და მწერლები: საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, აკადემიკოსი მურად მთვარელიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნანა გუნია, მიხეილ ღაღანაშვილი.

# სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი

## ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობა სამ-



13 - 15 აპრილს ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობა სამბოში ჭაბუკთა შორის, სადაც ფოთელმა მოჭიდავემ **ელიზბარ თურქიამ** მოიპოვა III საპრიზო ადგილი.

*ქალაქ ფოთის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ულოცავს სპორტსმენს, მის მწვრთნელს კონსტანტინე ხუბუტიას, ზურაბ ძაძამიას და სკოლის მენეჯერს გრიგოლ გუგუშვილს მიღწეულ წარმატებას.*

## გამოსათხოვარი

*„მიდიხარ ტკბილი გქონდეს მგზავრობა"*

# სერგო ტატარინოვი



ქ. ფოთის საინჟინრო ინტელიგენციამ უდიდესი დანაკლისი განიცადა, 85 წლის ასაკში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დვაწლმოსილი, დამსახურებული სამეურნეო მუშაკი, ყოფილი საბჭოთა კავშირის საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენოსანი **სერგო ბორისის ძე ტატარინოვი**.

ქალაქის საზოგადოებას გამოაკლდა გულისხმიერი, ყურადღებიანი პიროვნება, რომელიც ღირსეულად ემსახურებოდა საქვეყნო საქმეს და უპრეტენზიოდ ცხოვრობდა ამ ქვეყანაზე.

ამიტომაც სიყვარულით დადიოდა იგი ფოთის ქუჩებში, განვლილი ცხოვრება სახელს მატებდა და უკან მოხედვის არ ეშინოდა, რამეთუ გარდა სიკეთისა არაფერი უკეთებია ამ ქვეყნად. პატიოსნება, კეთილშობილება, სიყვარული, მეგობრობა-ამ პოსტულატებზე იყო აგებული მთელი მისი ცხოვრება. მას კარგად ესმოდა, რომ ცხოვრება მხოლოდ ტაძარი არ არის სადაც უნდა ილოცო, არამედ სამჭედლოა, სადაც უნდა იღვაწო.

სწორედ მუხლჩაუხრელ შრომაში გაირბინა 85 წელმა, როგორც ნაბდით დაჭედილმა ბედაურმა, მიუხედავად ამისა ბატონი **სერგო**, როგორც ფესვმაგარი მუხა ისე იდგა.

ბატონი **სერგო** ფოთში დაიბადა **ბორის ტატარინოვის და ნინა ანთაძის ოჯახში**. აქვე გაატარა ბავშობის და სკოლის წლები. მამამისი საქართველოში ცნობილი სამთო ინჟინერი იყო.

თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა უკრაინაში, ხოლო შემდეგ შრომითი საქმიანობა გააგრძელა ფოთში.მუშაობდა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის -სისტემაში, გაერთიანება ,,სოიუზვნეშტრანსის" კანტორის დირექტორად. ფოთის ნავსადგურში მიღწეული წარმატებებისათვის მიღებული ჰქონდა საბჭოთა კავშირის ,,საპატიო ნიშნის" ორდენი.

90-იან წლებში მოხდა აღნიშნული საწარმოს გარდაქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოდ და ბატონი სერგო გახდა ამ საწარმოს დირექტორი, სადაც ბოლო დღემდე მუშაობდა.

ამ წლების მანძილზე აღნიშნული საწარმო ჩამოყალიბდა როგორც საქვეყნოდ ცნობილი ორგანიზაცია საექსპედიტორო - სატრანსპორტო მომსახურების სფეროში.

ბატონ სერგოს ჰქონდა შესანიშნავი ორგანიზატორული ნიჭი, სარგებლობდა პატივისცემით კოლეგებში.

იგი იყო მოკრძალებული, გაწონასწორებული ადამიანი, რომელიც კარგ სამუშაო გარემოს ქმნიდა კოლექტივში.

ბატონი სერგოს წასვლა დიდი დანაკლისია მისი თანამშრომლებისა, კოლეგებისა და მეგობრებისათვის.

წავიდა ამ ქვეყნიდან სამშობლოზე, ქალაქზე მოფიქრალი კაცი, რომლის სახელი დიდხანს დარჩება ქალაქის მეხსიერებაში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ მეტად ჭეშმარიტი მამულიშვილის ნათელი სული და მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური ფოთის მიწა.

თანამშრომლბი, მეგობრები,
ქალაქის საზოგადოება

---

შპს ,,კავტრექსფოთის" თანამშრომლები (გენ. დირექტორი რობერტ გვაზავა) ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი, დამსახურებული სამეურნეო მუშაკი, წლების განმავლობაში შპს ,,ვნეშტრანსის" გენ. დირექტორი, რაფირინებული ინტელექტი

**სერგო ბორისის ძე ტატარინოვი**

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით" რედაქცია იუწყება,რომ გარდაიცვალა ცნობილი სამეურნეო მუშაკი, მეცენატი და ქველმოქმედი, გაზეთის მხარდამჭერი.

**სერგო ბორისის ძე ტატარინოვი**

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

---

## გზა დავულოცოთ დიდტიტულოვან პატარებს ჭადრაკის მწვერვალებისაკენ
## ფოთის საჭადრაკო კლუბის მოჭადრაკეთა ბრწყინვალე შედეგი



ფოთის საჭადრაკო კლუბის მოჭადრაკეთა ბრწყინვალე შედეგით დასრულდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ასაკობრივი ჩემპიონატი ჭადრაკში.

რეგიონის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს ალექსანდრე გარუჩავამ, კახაბერ კიზირიამ, ლიზი ფოჩხუამ, თეიმურაზ კვიკვინიამ და ელენე წოწონავამ.

მეორე ადგილის მფლობელები გახდნენ გაგა გვასალია, მარიამ ვადაქარია, ბარბარე კულუა, აკაკი ყალიჩავა და დიანა ლომაია



## თავისუფალი ჭიდაობა



მიმდინარე წლის 20-22 აპრილს ქ. ლანჩხუთში ჩატარდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ავთანდილ გოგოლიშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი 1999-2001 წ.წ., 2002-2004 წ.წ., 2005-2007 წ.წ. და 2008-2010 წ.წ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში.

აღნიშნულ შეჯიბრებაში ქ. ფოთის გუნდი გამოდიოდა 9 მოჭიდავით. გუნდის შედეგები: ერთი - ჩემპიონი, ოთხი - III ადგილი, სამი - V ადგილი.

32 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა **ბესო შენგელია**.

III ადგილები მოიპოვეს: საბა კუმარიტოვმა, 35 კგ წონითი კატეგორია

ედიკა ღვინჯილიამ, +35 კგ წონითი კატეგორია-ნიკოლოზ შენგელიამ, 45 კგ წონითი კატეგორია-ზვიად ჯალაღონიამ, 42 კგ წონითი კატეგორია-

V ადგილები მოიპოვეს:

გია გოგიტიშვილმა, 23 კგ წონითი კატეგორია

დათო კვირაიამ, 29 კგ წონითი კატეგორია

თორნიკე ხოჭოლავამ, +35 კგ წონითი კატეგორია

მწვრთნელი ავთანდილ კოპალიანი.

*ქალაქ ფოთის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ულოცავს მიღწეულ წარმატებებს ფოთელ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელს.*

## კალათბურთი

მიმდინარე წლის 13-15 აპრილს ქალაქ ბათუმში გაიმართა აჭარის ღია პირველობა კალათბურთში 2005 წ. დაბადებულ კალათბურთელთა შორის. ტურნირში მონაწილეობას ღებულობდნენ აჭარის ნაკრები, ქალაქების ბათუმის, ქუთაისის და ფოთის გუნდები. სამივე შეხვედრა დასრულდა ფოთელთა გამარჯვებით: აჭარის ნაკრებთან მატჩი დასრულდა ანგარიშით 66:53, ბათუმის ნაკრებთან - 57:37, ქუთაისის ნაკრებთან - 54:50.



*ქალაქ ფოთის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ულოცავს ფოთელ ნორჩ კალათბურთელებს და მათ მწვრთნელებს როლანდ გარუჩავასა და ია ჩოჩიას მიღწეულ წარმატებებს.*

---

**ინგა და ზურაბ აბრალავები იზიარებენ მარინა და დათო ბოკუჩავების მწუხარებას მამისა და ბაბუას, კარგი** ქართველის, მშრომელი და ალალი კაცის.

**რევაზ ესტატეს ძე ძაძამიას**

გარდაცვალების გამო.
ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი დიდებული სული.
დაკრძალვა შაბათს, 28 აპრილს, ადიგენი-სოფელი წრე.

---

**ფოთელი უახლოესი მეგობრები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ჯიმი ქვარცხავას დის**

**ნანული ქვარცხავა-ტურძელაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

**ნომრის სპონსორია ქალაქის რიტუალების სახლი - დირექტორი ვახტანგ გოგიშვილი**

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო
ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში"
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი
ზ. აბრალავა